Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.08

ბირთვული იარაღის გონივრული მართვის მნიშვნელობა საერთაშორისო მართლწესრიგის შენარჩუნების თვალსაზრისით

ლეონიდ-ლუკა კაზანჯი

აბსტრაქტი

ბირთვული სამართალი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს აკადემიურ მიმართულებას, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესების ანალიტიკური თვალსაზრისით ობიექტურად შემეცნების მეტაფიზიკურ პროცესში. ზემოთხსენებული სამეცნიერო დარგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს იურიდიული აზროვნებისა და მათემატიკური ფილოსოფიის სინქრონულ-დიაქრონულ კავშირს. კერძოდ, აღნიშნული სტატიის მიზანს წარმოადგენს ბირთვული სამართლის ორიგინალური მოდელის შემოთავაზება - ჩვენ ვქმნით კრიპტომათემატიცისტურ დამწერლობას, რომელიც მოიცავს რიცხულ, ფილოსოფიურ ბმებსა და ციფროლოგიურ-დეონტურ აზრისმიერ რეალიებს. კრიპტომათემატიცისტური დამწერლობა აერთიანებს რიცხვულ მეტაფიზიკაში ფორმულირებულ იდეურ-საგნობრივ სტრუქტურულ განსაზღვრულობებსა და იურიდიულ მსოფლმხედველობრივ აზრებს. ზემოთხსენებული ტიპის დამწერლობა ბირთვული სამართლის შემეცნების პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მათემატიკური ფილოსოფიის იდეური ამოცანების სწორი მიმართულებით განსაზღვრას, რაც აადვილებს ბირთვული იარაღის როგორც მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის დაცვის ინსტრუმენტის ობიექტურ გაანალიზებას. კრიპტომათემატიცისტური დამწერლობა უაღრესად მნიშვნელოვან კავშირს ავლენს მსოფლიო სამართლის და ლოგიკური აზროვნების მმართველ ფილოსოფიურ კანონზომიერებებთან, რაც დასტურდება სამართლებრივ-მსოფლმხედველობრივი იდეების კრიპტოირების გზით. კრიპტომათემატიცისტური დამწერლობა ასევე მოიცავს ციფრის, როგორც რიცხვული მეტაფიზიკის საწყისის და ფილოსოფიური აზრის, როგორც იურისპრუდენციის ხერხემლის მდგრად არსებით ბმებს, რაც დასტურდება ისტორიულ-ფილოსოფიური და ლოგიცისტური კვლევების მრავალმხრივ გააქტიურების გზით. კრიპტომათემატიცისტური დამწერლობა გახლავთ ხიდი მათემატიკას, როგორც ბირთვული იარაღის საგნობრივი სტრუქტურასა და სამართალს, როგორც ნორმატიული რეგულირების წყაროს შორის. კრიპტომათემატიცისტური დამწერლობის გარდა დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ

ფსიქოლეგოტრონულ განზომილებას, რომელიც მოიცავს სამართლებრივი აზროვნების მმართველი კანონზომიერებებისა და ლოგიკური იდეების კონცეპტუალურ თვისებრივ ბმებს, რაც მტკიცდება ისტორიულ-გენეტიკური კვლევების მრავალმხრივ გააქტიურებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი მეცნიერული გამოწვევის სრულიად ობიექტური გზით დაძლევის წყალობით. ფსიქოლეგოტრონული განზომილება მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი იდეების ურთიერთქმედების თვისებრივ მოდელს, რაც საწინდარია მსოფლიო წესრიგისა.

საკვანძო სიტყვები: ბირთვული სამართალი, კრიპტომათემატიკური ანბანი, ფსიქოლეგოტრონული განზომილება

შესავალი

კაცობრიობის ისტორია ურთულეს ფენომენოლოგიურ სისტემათა მსოფლმხედველობრივ ბალანსირებაზე აგებული ცნობიერი სივრცეა, რომელიც უდიდეს ფუნქციურ დატვირთვას იძენს ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართების შემეცნების განზოგადებულ პროცესში. სამხედრო შეიარაღება მსოფლიო ისტორიის ყოველ ეტაპზე უზარმაზარ როლს ასრულებდა სახელმწიფოთა ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის გააქტიურების მიმართულებით. ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო რომელმაც შექმნა კომპლექსური მილიტარისტული სისტემა გახლდათ ასურეთი.

ასურელებმა შექმნეს რთული სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო შეიარაღების მუდმივ განახლებას, რაც იმპერიის ძლიერების წყაროდ მიიჩნეოდა.დიდ შედეგს მიაღწიეს მილიტარიზების მიმართულებით ასევე ბაბილონელებმა, ხეთებმა, ეგვიპტელებმა, ელინებმა და რომაელებმა.

შუა საუკუნეებში გაძლიერდნენ ევროპული იმპერიები-დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, პორტუგალია საფრანგეთი და აზიის სახელმწიფოები-ოსმალეთი და სპარსეთი. მე19 საუკუნეში მსოფლიოს მმართველი ძალის დიდი ბრიტანეთის მიერ დაიწყო იარაღის მასშტაბური განვითარება, რაც აისახა ევროპისა და საზოგადოდ მსოფლიოს გეოპოლიტიკური წესრიგის ფორმირების ურთულეს პროცესზე შედეგობრივი თვალსაზრისით. მე20 საუკუნეში მსოფლიოში შეიარაღების ძირითად ნაწილს აწარმოებდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი, რაც დასტურდება ისტორიული კვლევების მრავალმხრივ გააქტიურების გზით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნა ატომური ბომბი, რომელიც გამოიყენა მეორე მსოფლიო ომშ იაპონიის წინააღმდეგ. ამერიკელებმა და ბრიტანელებმა დაიწყეს აქტიური საქმიანობა ბირთვული შეიარაღების გონივრული მართვის თეორეტიკულ მოდელთა შესაქმნელად, რაც გამოიხატებოდა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და

კონვენციების ჩამოყალიბებისა და მუდმივი პროგრესირების ფორმათა სახით. ბირთვული იარაღი მალევე შექმნეს დიდმა ბრიტანეთმა და საბჭოთა კავშირმა,მოგვიანებით კი აღნიშნული მიზანი განახორციელა საფრანგეთმაც. აღნიშნული სტატიის მიზანია საერთაშორისო მართლწესრიგის დაცვის გზების ძიება და ბირთვული იარაღის მართვის გონივრულ მოდელთა შექმნის მიზნობრიობის სწრაფი განხორციელების უზრუნველყოფა.

პრობლემის თეორიული ანატომია

ბირთვული შეიარაღება წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს როგორც სამხედრო-პოლიტიკური ასევე ეკონომიკური და ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისით. ბირთვული იარაღი იქცა არსებით პრობლემად, რომელიც გახლავთ უზარმაზარი მსოფლიო გამოწვევა

.მე20 საუკუნიდან ბირთვული იარაღის მართვის განსხვავებულ მოდელთა შექმნამ უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო ერთა გეოპოლიტიკური ფუნქციური თვისებრიობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ურთულეს მართლაც ზეეპოქალურ პროცესში. ბირთვული იარაღი ხშირად გარდაიქმნება ერთდროულად მსოფლიო მართლწესრიგის შენარჩუნების ინსტრუმენტად და მსოფლიო ერებზე გეოპოლიტიკური ზემოქმედების დახვეწილ საშუალებად.

ზემოთხსენებული სახის შეიარაღება უზარმაზარ ფუნქციურ დატვირთვას იძენს თანამედროვე საკაცობრიო მართლწესრიგის როგორც სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურული განსაზღვრულობის შენარჩუნების და მრავალმხრივ პროგრესირების მიმართულებით. თუმცა მსოფლიოში არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც ბირთვულ იარაღს კონკრეტულ გეოსტრატეგიულ რეგიონზე ტაქტიკური ზემოქმედების განსახორციელებლად და საკუთარ პოლიტიკურ ინტერესთა პრაქტიკულად ხორცშესასხმელად აქტიურად იყენებენ.

ჩემი სტატია მკითხველს სთავაზობს ზემოაღნიშნული პრობლემის შედარებით-აქსიომატურ, ისტორიულ-გენეტიკურ და ემპირიულ-ანალიტიკურ ანალიზს-მეცნიერულ თეორიათა სიღრმისეული შესწავლის გზით. ბირთვული იარაღი გამანადგურებელი საფრთხეა, რომლის გასანეიტრალებლად საჭიროა აღნიშნული შეიარაღების გონივრული მართვის თეორეტიკულ მოდელთა შექმნა, სინქრონული განვითარება და დიაქრონული სრულქმნა. ჩემი სტატიის მიზანს წარმოადგენს ბირთვული სამართლის დოგმატური პრობლემების თვისებრივი დიფერენცირება და მსოფლიო ბირთვულ სამართალში მძლავრი ოპერირების მნიშვნელოვანი უნარის ჩამოყალიბება, რაც საწინდარია ზემოთხსენებული საკაცობრიო მნიშვნელობის გამოწვევის დასაძლევად ინტელექტუალური მუშაობის სწორი მიმართულებით

განსაზღვრისა და მსოფლმხედველობრივი იდეების დოგმატიკაში გონისმიერი ასახვის ნორმატიული მექანიზმების ზეეპოქალურ დონეზე დახვეწისა.

ბირთვული შეიარაღების შექმნისა და განვითარების ეპოპეა დაიწყო მე20 საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, ზემოაღნიშნული იარაღის ჩამოყალიბების სათავეებთან ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი იდგნენ. პირველ მსოფლიო ომში ანტანტის[4] გამარჯვებისა და ცენტრალური რკალის [5]დამარცხების შემდეგ შეიქმნა ახალი მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი, რომლის შემოქმედად კვლავ იქცნენ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. პირველ მსოფლიო ომში გამოიყენეს მომაკვდინებელი იარაღი-იპრატები[6], რომელიც თავდაპირველად რეალიზებულ იქნა გერმანელთა მიერ. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა აღნისნული ფაქტი სამართლიანად მიიჩნიეს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად და კაიზერის[7] პოლიტიკას უმკაცრესი რეაგირებით უპასუხეს.

პირველ მსოფლიო ომში კაცობრიობის ისტორიაში აღნიშნულ მოვლენამდე უპრეცედენტო მასშტაბის გამანადგურებელი იარაღი იქნა გამოყენებული მოწინააღმდეგეთა მიერ. თუმცა, ზემოთხსენებული მიზნობრიობა ძირითადად გერმანიის წამოწყება გახლდათ, რომელსაც უმკაცრესად უპასუხა მაშინდელი მსოფლიოს და თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთმა ყველაზე ძლევამოსილმა სახელმწიფომ -დიდმა ბრიტანეთმა.

ბრიტანელებმა და ამერიკელებმა უზარმაზარი როლი შეასრულეს პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების ისტორიული მიზნობრიობის განსრულების მეტად კომპლექსურ პროცესში. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ დაიშალა ავტრო-უნგრეთის, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები, რაც აისახა მაშინდელი მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის ახალ კონტურთა ჩამოყალიბების ფენომენოლოგიურ პროცესზე, მეტიც, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ახალი სამართლებრივი ეტაპი, რომელიც უდიდეს როლს სძენს ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიულ-სამართლებრივი კონტაქტების გაძლიერებასა და განმტკიცებას. პირველმა მსოფლიო ომმა კაცობრიობას აშკარად დაანახა უზარმაზარი საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა მსოფლიო ერებს მრავალი მიმართულებით. დაიწყო ახალი სამართლებრივი შეთანხმებებისა და პაქტების ჩამოყალიბება, რომელმაც ცხოველმყოფელი გავლენა იქონია ევროპისა და საზოგადოდ, მსოფლიოს ერთა იურიდიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და ეპოქასთან შესაბამისობის ხარისხის ზრდის ურთულეს მეტად კომპლექსურ პროცესში.

[4] დიდი ბრიტანეთის გარშემო გაერთიანებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი.

[5] გერმანიის გარშემო გაერთიანებული სამხედრო კავშირი.

[6] აირის იარაღი, რომელიც ყველაზე მასშტაბურად გამოიყენეს იპრის ბრძოლაში.

[7] იმპერატორი.

ზემოთხსენებული პრობლემის-მასშტაბური სამხედრო კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად შეიქმნა ერთა ლიგა, რომელმაც გააერთანა მრავალი სახელმწიფო-დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური აზრისმიერი და ნეოევროპული იდეების სისტემატიზების გზით. მე20 საუკუნის 20იან წლებში დაიწყო ახალი იმპერიების ფორმირება, რომლებმაც ერთ-ერთ უპირველეს მიზნად დაისახეს კულტურული, პოლიტიკური და სამართლებრივი იდეების გავრცელების გზით ახალ გეოპოლიტიკურ წესრიგში სათანადო ადგილის დაკავება.

ზემოთხსენებულ მოსაზრებათა არგუმენტირების ხარისხის ასამაღლებლად მიზანშეწონილად მივიჩნევთ კონკრეტულ ფაქტთა დასახელებას-კერძოდ, ევროპაში გაძლიერებას იწყებს ბენიტო მუსოლინის [8]იტალია, ასევე მეფის რუსეთის იმპერიის მემკვიდრე საბჭოთა კავშირი ხოლო აზიაში მეიძის[9] რეფორმების შემდეგ უაღრესად განვითარებულ სახელმწიფოდ გარდაქმნილი იაპონია.განვიხილოთ თითოეული სახელმწიფოს იდეოლოგია სამართლებრივ-ფილოსოფიური თვალსაზრისით. იტალიაში ზემოთხსენებული ლიდერი ქმნის ახალ ავტორიტარულ პოლიტიკურ იდეოლოგიას-ფაშიზმს, რომელიც გულიხმობდა ძველი რომის დიდების აღდგენას, პოლიტიკური სამართლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით. იტალიელი ფაშისტები მიზანშეწონილად თვლიდნენ საზოგადოების კონტროლს და სახელმწიფოს ავტოკრატიულ მართვას, რაც განპირობებული გახლდათ იდეოლოგიური საფუძვლებით.

იტალიელმა ფაშისტებმა შექმნეს სკუადრე[10], ბალილა[11] და სხვა რადიკალური ორგანიზაციები. მუსოლინი წარმოადგენდა ევროპაში ავტორიტარული იდეოლოგიის ერთ-ერთ უპირველეს მესაძირკვლეს, რომელმაც უზარმაზარი როლი შეასრულა იტალიასა და საზოგადოდ ევროპაში ავტორიტარიზმის განმტკიცების მეტად ნეგატიურ პროცესში. ბენიტო მუსოლინის შემდეგ ყურადღება მივაპყროთ საბჭოთა კავშირს, რომელიც ვლადიმერ ლენინის [12]იდეების მიხედვით შექმნილ ტოტალიტარულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ლენინი თავს თვლიდა მარქსიზმის მემკვიდრედ და უპირველეს მიზნად ისახავდა მარქსისა[13] და ენგელსის[14] თეორიების განხორციელებას.ლენინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო

[8] ფაშისტური იტალიის ლიდერი.

[9] იაპონიის იმპერატორი დიდი რეფორმატორი.

[10] გასამხედროებულ დაჯგუფება იტალიაში.

[11] იდეოლოგიური დაჯგუფება ფაშისტურ იტალიაში.

[12] რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის ლიდერი.

[13] დიდი ევროპელი თეორეტიკოსი.

[14] დიდი ევროპელი თეორეტიკოსი.

მეტად განმტკიცდა საზოგადოების ტოტალური კონტროლის იდეა, რაც განხორციელდა კიდეც.

ბოლშევიკებმა დაიწყეს იარაღის მასიური წარმოება და მთავარ მიზნად დაისახეს იდეოლოგიური სისტემის სამართლებრივი მიმართულების მკაცრ დოგმებში მოქცევა, რაც გარდაიქმნა 1936 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღების მიზნობრივ საწყისად.ბოლშევიკები ქმნიან ცენტრალიზებული ეკონომიკის მოდელს, რომელსაც მხარს უჭერს საბჭოთა იურისპრუდენცია სრული თეორეტიკული და პრაქტიკული პოტენციალით. ბოლშევიკებმა სცადეს მსოფლიო სამართლის ბრიტანულ მოდელის კომპონენტების გამოყენება, თუმცა ტოტალიტარულ იმპერიაში დემოკრატიის ევროპული მოდელის ერთ-ერთი უპირველესი ავტორის დიდი ბრიტანეთის სოციალურ-პოლიტიკური და მით უმეტეს იურიდიული იდეოოლოგიის პროგრესული იდეების იმპლემენტირება[15] ვერ მოხერხდა.

საბჭოთა კავშირმა მეტად სწრაფად განავითარა სამხედრო მრეწველობა და დაიწყო ტოტალიტარული იურიდიული სისტემის შექმნა, რაც აისახა საბჭოეთის იურისპრუდენციის მსოფლიო სამართალთან კავშირის ხარისხობრივ მაჩვენებელთა იერარქიაზე.საბჭოთა კავშირის შემდეგ 1933 წელს შექმნილ ნაცისტურ იმპერიასაც მივაპყროთ ყურადღება-ნაციზმი წარმოადგენს ადოლფ ჰიტლერის [16]მიერ შექმნილ ყველაზე რადიკალურ პოლიტიკურ იდეოლოგიას, რომელმაც გამანადგურებელი შედეგები გამოიღო ევროპული და საზოგადოდ საკაცობრიო თვალსაზრისით. გერმანელმა ნაცისტებმა დაიწყეს საზოგადოების ტოტალური კონტროლი და გააძლიერეს სამხედრო წარმოება.

მეტიც, ნაცისტები ჯერ კიდევ 1944 წელს ცდილობდნენ ატომური ბომბის შექმნას, თუმცა ოპენჰაიმერის[17] ამერიკის შეერთებულ შტატებში გაქცევამ აღნიშნული მიზანი დაასამარა. პირველი ატომური იარაღი შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში ზემოთხსენებული მეცნიერის მიერ. ამერიკელებმა და ბრიტანელებმა დაიწყეს აღნიშნული იარაღის გონივრული მართვის კონცეპტუალურ ხედვათა ჩამოსაყალიბებლად აქტიური იურიდიულ-დოგმატური და სისტემურ-მსოფლმხედველობრივი მუშაობა. ამერიკელებმა ატომური ბომბი გამოიყენეს იაპონიაში ჰიროსიმასა[18] და ნაგასაკიში[19] 1945 წლის აგვისტოში. დასავლელ მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით აღნიშნულმა მოვლენამ მიუხედავად ასობით ათასი ადამიანის დაღუპვისა დააჩქარა იაპონიაში ჰიროჰიტოს[20]

[15] ჩანერგვა.

[16] ნაცისტური გერმანიის ლიდერი.

[17] დიდი ევროპელი ფიზიკოსი.

[18] იაპონიის ქალაქი.

[19] იაპონიის ქალაქი.

[20] იაპონიის იმპერატორი მეორე მსოფლიო ომისას.

ხელისუფლების დამხობა და მეორე მსოფლიო ომის დასრულება.1945 წელს ნიურნბერგის პროცესზე ნაცისტ დამნაშავეთა გასამართლებისას დადგინდა შემდეგი ფაქტი-ნაცისტები ემზადებოდნენ ჯერ კიდევ 30იანი წლებიდან ატომური ბომბის შესაქმნელად და ზემოაღნიშნული იარაღის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოსაყენებლად. მეორე მსოფლიო ომში ნაციზმის განადგურების შემდეგ დასავლეთმა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით დაიწყო ბირთვული სამართლის დოგმატიკის ჩამოყალიბება და განვითარება, რაც აისახა მსოფლიო ბირთვულ კონვენციასა და საერთაშორისო სამართლებრივ შეთანხმებებში მრავალი მიმართულებით.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა არგუმენტირების ხარისხის ასამაღლებლად მიზანშეწონილად მივიჩნევთ ბირთვული სამართლის დოგმატური პრობლემების კვლევას.მაგალითად, განვიხილოთ სებასტიან რეისმისა და მარკ ტეტლეის [21]სტატია, რომელშიც განხილულია ბირთვული რისკისგან დაზღვევის პრობლემატიკა-კერძოდ, ზემოთხსენებულ ავტორთა აზრით, ბირთვული სამართლის კანონმდებლობა მოითხოვს მხოლოდ გონივრული პირისთვის მოსალოდნელი ფაქტების გამჟღავნებას, რაც აისახება ცივილისტურ საკანონმდებლო სისტემებზეც. ზემოთხსენებულ მოსაზრებას ნაწილობრივ ვიზიარებ-აღნიშნული აზრი შეესაბამება კონკრეტულ სადაზღვევო შემთხვევას საერთაშორისო კერძო სამართლის ან ეროვნული ცივილისტური კანონმდებლობის მიხედვით-ბირთვული სამართალი არ ეხება მხოლოდ შეიარაღებას, აღნიშნული დარგი მოქმედებს სამედიცინო სფეროშიც-განსაკუთრებით კი რადიოლოგიის[22] მიმართულებით.

მედიცინის სისტემურ სივრცეში რეიმსისა და ტეტლეის აღნიშნული თეორეტიკული მოსაზრება ნამდვილად ქმედითობის მაღალი ხარისხით ხასიათდება, თუმცა ზემოთხსენებულ შემთხვევაში თვისებრივი დიფერენცირება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, ვინაიდან, დაუშვებელია სამედიცინო ატომური სფეროსა და ბირთვული შეიარაღების მართვის იდენტურობის დასაბუთება. სამედიცინო თვალსაზრისით აღნიშნული თეორეტიკული მიდგომა სრულიად სწორ ნაბიჯს წარმოადგენს, თუმცა ზემოთხსენებული თეორეტიკული მოდელის ბირთვული სამართლის ყველა მიმართულებაზე გავრცელება არასწორ სტრატეგიად მიმაჩნია როგორც დოგმატური, ასევე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. ბირთვული სამართალი გარკვეულ არსებით მდგრად ბმებს წარმოშობს იურისპრუდენციის სხვადასხვა მიმართულებებთან, რაც გამოიხატება იურიდიული დოგმატიკის ფსიქოსომენური[23] ანალიზით-კერძოდ, ხშირად კონკრეტული სამართლებრივი დისციპლინა მოითხოვს თეორეტიკულ განვრცობას, ხოლო მეორე შემთხვევაში თვისებრივ კონკრეტიზებას-შესაბამისად რეიმსისა და ტეტლეის ზემოაღნიშნული

[21] სებასტიან რეიმსი მარკ ტეტლეი ბირთვული რისკისგან დაზღვევა 2022 გვ.2

[22] მედიცინის მიმართულება.

[23] ზეფსიქოგენური.

სტატია წარმოადგენს მნიშვნელოვან მეცნიერულ შენაძენს ვიწრო იურიდიული დოგმატური ურთიერთობის მოწესრიგების და არა საერთაშორისო მართლწესრიგის ნორმატიულ სისტემებზე განვრცობის თვისებრივი ნოვატორული იდეების განვითარების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულმა ავტორებმა დაგვანახეს მძლავრი პრობლემა, რომელიც დექენირული ანუ კონკრეტული ხასიათისაა და ნამდვილად არ ვრცელდება ბირთვული სამართლის როგორც საერთაშორისო მართლწესრიგის კონცეპტუალურ პრინციპებზე. რეიმსი და ტეტლეი ქმნიან კონკრეტულ თეორეტიკულ ამოცანას და არა განზოგადებულ იდეურ-საგნობრივ მატრიცას, რომელიც ვრცელდება ბირთვული სამართლის ქვედარგობრივ კატეგორიებზე.

ამჟამად კი განვიხილოთ მესამე მეცნიერის პატრიკ რეინერის [24]შეხედულებები, რომელსაც აყალიბებს სტატიაში სახელწოდებით ბირთვული სამართლის საერთაშორისო სკოლის ისტორია.

ავტორი მომოიხილავს მეტად საინტერესო პასაჟს ჩერნობილის ავარიის შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით, კერძოდ,1990იან წლებშ ბირთვული ენერგია ვარდნის პროცესში იმყოფებოდა, რაც განაპირობა, ბირთვულ ორგანიზაციებში კვალიფიციური პერსონალის გარდაუვალმა დაბერებამ,რაც დიდ შეშფოთებას იწვევდა დანადგარების უსაფრთხოებაზე აღნიშნული ფაქტის საბოლოო გავლენასთან დაკავშირებით.

ავტორის აზრით მნიშვნელოვანი პრობლემა შეიქმნა თვით ბირთვულ სამართალში სპეციალიზებული იურისტების თაობის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.აღნიშნული თეორეტიკული მოსაზრება დასტურდება ისტორიული და იურიდიულ-დოგმატური კვლევების მრავალმხრივ გააქტიურების გზით.

პატრიკ რეინერი ახორციელებს მეოცე საუკუნის ბოლოს წამოჭრილი უმძლავრესი თეორიული პრობლემის სიღრმისეულ ანალიზს, რაც აისახება ნაშრომის თეორიულ აგებულებასა და ემპირიული ანალიზის თვისებრივ შედეგებზე. პატრიკ რეინერი როგორც მნიშვნელოვანი მეცნიერი სწორ აქცენტირებას ახორციელებს პრობლემების მიზეზობრიობაა და აგრენულ[25] ფუნქციურ აგებულებაზე.

პატრიკ რეინერის აღნიშნულმა მოსაზრებამ უდიდესი ზეგავლენა იქონია ბირთვული სამართლის კვლევის ინოვაციური მეტასტრანული[26] მეთოდიკის ჩამოყალიბების პროცესზე.რეინერმა აღასრულა უდიდესი თეორეტიკული მისია ბირთვული სამართლის დოგმატური პრობლემების ინოვაციური შემეცნების მიმართულებით.

[24] პატრიკ რეინერი ბირთვული სამართლის საერთაშორისო სკოლის ისტორია 2022 გვ3.

[25] აზრისმიერ.

[26] ზეაზრობრივი.

რეინერმა ყურადღება გაამახვილა ბირთვული სამართლის შესახებ ცოდნის გადაცემის ობიექტური ხერხების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ისტორიული მიზნობრობის განხორციელების პროცესზე.

ბირთვული სამართლის კვლევა მოითხოვს პრონედიკურ[27] და ასტრემონიულ[28] აზროვნებას, კერძოდ, ზემოთხსენებული იურიდიული დისციპლინა პირდაპირ კავშირს ავლენს ისტორიულ-ფილოსოფიური აზროვნების მმართველ კანონზომიერებებთან, რაც ასახვას ჰპოვებს იურიდიული დოგმატიკის პრობლემათა ანალიზის ორიგინალური მეთოდიკის შექმნის უზოგადეს პროცესთა ღირებულებით-მსოფლმხედველობრივი საწყისების შემეცნების ფენომენოლოგიურ სისტემებზე. ზემოთხსენებულ მოსაზრებათა არგუმენტირების ხარისხის ასამაღლებლად მიზანშეწონილად მივიჩნევთ მეოთხე ავტორიტეტული მეცნიერის-კვენტინ მიჩელის სამეცნიერო შეხედულებათა ანალიზს-კერძოდ,კვენტინ მიჩელი [29]საკუთარ სტატიაში-საერთაშორისო ბირთვული ვაჭრობის კონტროლი და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა-ავითარებს მეტად საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვან შეხედულებას ბირთვული იარაღით ვაჭრობის კონტროლის შესახებ, კერძოდ,ბირთვული იარაღით ვაჭრობის კონტროლის შესახებ არაფორმალურ ინსტრუმენტთა მზარდი რაოდენობა ცალსახა დადებით შეფასებას იმსახურებს.

ავტორის აზრით საჭირო გახლდათ ბირთვული სამართლის აღნიშნული პრობლემის მაქსიმალური იდენტიფიცირება და ე.წ ,მასალის'მნიშვნელობის განმარტება.ავტორის აზრს მეტწილად ვეთანხმებით, თუმცა მიზანშეწონილად მივიჩნევთ ბირთვული მასალის არაბირთვულ სახელმწიფოებში ექსპორტის მძლავრი მაკონტროლებელი მექანიზმის შექმნას, რაც გაამარტივებს ბირთვული სამართლის მოქმედებას მრავალი მიმართულებით.მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უზარმაზარი როლი შეასრულეს საერთაშორისო ბირთვული შეთანხმებების ჩამოყალიბებისა და მრავალმხრივ განმტკიცების ურთულეს პროცესში.

ბირთვული სამართლის ქმედითობის შეფასების სამი სქემა არსებობს-1-ბრიტანული მოდელი, რომლის თანახმად ბირთვული იარაღის ფლობა სამხედრო-პოლიტიკურ დისტრომაციასთან[30] ერთად სამართლებრივ ვალდებულებათა წარმოშობის მათემატიკურ მატრიცას გვთავაზობს,2-ამერიკული მოდელი, რომლის მიხედვით ბირთვული იარაღი წარმოადგენს საერთაშორისო მართლწესრიგის შენარჩუნების

[27] დოგმატურ.

[28] ფაქტოლოგიურ.

[29] კვენტინ მიჩელი-საერთაშორისო ბირთვული ვაჭრობის კონტროლი და ბირტვული იარაღის გაუვრცელებლობა 2023 გვ1.

[30] უპირატესობა.

ინსტრუმენტს დ საბჭოური მიდგომა-ბირთვული იარაღი როგორც გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების უმძლავრესი საშუალება.

ზემოთხსენებულ თეორეტიკულ მოდელთაგან აზროვნების სიღრმით გამოირჩევიან ბრიტანული და ამერიკული სისტემები. ბირთვული სამართლის დოგმატიკური პრობლემების კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიოსოფიური [31]წანამძღვრებისა და პრაგმა-დოქტრინალური მიდგომების მეცნიერულ ანალიზს-სამართლებრივი აზროვნების ისტორია წარმოადგენს ბირთვული სამართლის შემეცნების თეორეტიკულ პლაცდარმს, რომლის სწორად გამოყენება ზემოთხსენებული დარგის დოგმატური გამოწვევების დასაზლევად ბრძოლისას უდიდეს თეორეტიკულ და პრაქტიკულ დახმარებას გაგვიწევს.

ამჟამად კი ყურადღება მივაპყროთ რომანულ-გერმანული და ანგლო-საქსური დოქტრინების მიგნებებს აღნიშნული თვალსაზრისით.ზემოთხსენებული მიმართულებით საუკეთესო მიღწევები აქვთ ბრიტანელებს და ამერიკელებს, როგორც ბირთვული პოტენციალის მფლობელ ზესახელმწიფოებს-კერძოდ, ზემოაღნიშნული ქვეყნები ბირთვულ იარაღს თვლიან საერთაშორისო მართლწესრიგის შენარჩუნების და მსოფლიო გეოპოლიტიკური ველის სამხედრო-პოლიტიკური და იდეოლოგიური ბალანსირების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად.ბრიტანელი და ამერიკელი იურისტები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ დოგმატიკურ წონასწორობას, რომლის საფუძველი მსოფლმხედველობრივი ბალანსირების ფსიქოსტრატიული[32] მოდელირებაა. ბრიტანელთაგან და ამერიკელთაგან გარკვეულწილად განსხვავებული აზრი აქვთ გერმანელებს, რომლებიც ბირთვულ იარაღს მიიჩნევენ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საფრთხედ, რომელიც უზარმაზარ როლს ასრულებს დესტრუქციის გენერირების მიმართულებით.საინტერესო შეხედულებებს ავითარებენ ჩინელები, რომლებიც ბირთვულ სამართალს თვლიან ფილოსოფიურ სისტემად, რომელიც აგენორსულ[33] ელემენტთაგან შესდგება და უპირველეს მიზნად ისახავს კაცობრიობის დაცვას ექსტრემიზმისგან.

ზემოთხსენებულ თეორეტიკულ მოდელთაგან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ანგლო-ამერიკულ სისტემას, რომელმაც განუზომელი როლი შეასრულა მსოფლიო ბირთვული სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარების ურთულეს პროცესში.ბირთვული სამართლის დოგმატიკურ პრობლემათა ანალიზისას უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ემპირიული ფაქტოლოგიისა და სისტემურ-მსოფლმხედველობრივი იდეების ურთიერთბალანსირებას, რაც დასტურდება ისტორიოსოფიური[34] და

[31] ისტორიულ-ფილოსოფიური.

[32] ზეფსიქონომიური.

[33] ზეაზრობრივ.

[34] ისტორიულ-ფილოსოფიური.

სინსონორმატივისტური[35] კვლევების გააქტიურების გზით. ბირთვული სამართალი წარმოადგენს საკაცობრიო დილემათა ამოხსნის ერთ-ერთ კონცეპტუალურ სისტემას, რომელიც ეფუძნება დოგმების ანალიტიკურ განსჯასა და შედარებით-აქსიომატურ მსჯელობებს.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი დისციპლინა უდიდეს ფუნქციურ დატვირთვას იძენს მსოფლიოს ერთა მრავალმხრივ განვითარების ზეეპოქალურ პროცესში. ბირთვული სამართლის დოგმატიკა და ფილოსოფიური გენერიზი [36]ხშირად გამიჯვნას საჭიროებს, კერძოდ, ბირთვული სამართლის სპეციალისტები იყენებენ კომპარატივისტიკასა[37] და სისტემურ ანალიზს, რაც განპირობებულია სოციალურ-პოლიტიკური და ფსიქოგენეტიკური აზროვნების მასშტაბის გაზრდის სასიცოცხლო აუცილებლობის წარმოშობით. ბირთვული სამართლის თანამედროვე მსოფლიო მეცნიერული სკოლა დინამიურად ვითარდება და განსაზღვრავს მსოფლიო მართლწესრიგის განსამტკიცებლად იდეური ბრძოლის ორიენტირს.

დასკვნა

ბირთვული სამართალი წარმოადგენს უნიკალურ სამეცნიერო მიმართულებას, რომელიც უზარმაზარ როლს ასრულებს საერთაშორისო მართლწესრიგის დაცვისა და შენარჩუნების ლეგიტიმური მიზნის განხორციელებასთან დაკავშირებული დოგმატური ამოცანის ამოხსნის ურთულეს პროცესში. ბირთვული სამართალი სავსებით შესაძლებელია სამართლებრივი მსოფლმხედველობისა და იურიდიული დოგმატიზმის მდგრად არსებით ბმად მივიჩნიოთ. ზემოთხსენებული იურიდიული დისციპლინა მეტად დიდ აქტუალობას იძენს თანამედროვე ეპოქაშიც, ვინაიდან, ექსტრემისტული დაჯგუფებები ცდილობენ მსოფლიო მართლწესრიგის არამართლზომიერ კორექტირებას-ძალადობრივი მეთოდიკის გამოყენების გზით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ბირთვული სამართალი ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკაზე ფოკუსირებული აკადემიური მიმართულებაა, რომელიც უზარმაზარ ფუნქციას ითავსებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისა და განმტკიცების მეტად კომპლექსურ პროცესში.

თავისუფლად შეიძლება ითქვას-თანამედროვე მსოფლიოს სასიცოცხლოდ სჭირდება ბირთვული სამართლის განვითარება, ვინაიდან, ზემოთხსენებული დარგი აკავშირებს ისტორიულ სიბრძნეს, აკადემიურ უნარებსა და კომპლექსურ ცოდნას, რომელთა სისტემატიზება უზარმზარ ფუნქციას ითავსებს საერთაშორისო მართლწესრიგის ბარბაროსულ ძალათა შემოტევებისგან დაცვის დიადი მისიის ისტორიულ-ფილოსოფიური თვალსზრისით განვითარების ზეეპოქალურ პროცესში.

[35] ზენორმატივისტური.

[36] პრე-აზრობრივი.

[37] შედარებითი აგნესორული მეცნიერება.

პირადად, ჩემი აზრით, ბირთვული სამართალი პრაგმა-დოქტრინალური სისტემაა, რომელიც უძლებს დროს ვითარდება ზესივრცული კანონზომიერებების პრაქტიცირების გზით.გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ბირთვული სამართალი დროსა და სივრცეზე აღმატებული მეცნიერებაა, რომელიც უზომოდ მნიშვნელოვან და მეტად საინტერესო როლს ასრულებს სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვისა და განმტკიცების ისტორიულ-ფილოსოფიური მისიის აღსრულებასთან დაკავშირებული კომპლექსური მიზნობრიობის შესაბამისი ხარისხით განხორციელების ურთულეს პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Sebastian Reims, Mark Tetley-Nuclear Risk Insurance 2022 p2
2. Patrick Reiner-History of the School of International Nuclear Law 2022 p3.
3. Quentin Mitchell-Control of International Nuclear Trade: A Difficult Balance Between Trade Development and Nuclear Non-Proliferation.
4. Maryam Tsatsanashvili-General History of State and Law-2010 p45-78
5. Merab Turava-Fundamentals of International Criminal Law 2012

The importance of prudent management of nuclear weapons in terms of maintaining international order

Leonid-Luka Kazanji

leonidluka.kazanji@gmail.com

Abstract

Nuclear law is a very important academic direction that plays a major role in the metaphysical process of objective cognition of modern geopolitical processes from an analytical point of view. The above-mentioned scientific field attaches great importance to the synchronic-diachronic connection of legal thinking and mathematical philosophy. In particular, the purpose of this article is to propose an original model of nuclear law - we create a cryptomathematical script that includes numerical, philosophical bonds and digital-deontic thought realities. Cryptomathematical script combines ideological-subjective structural determinations formulated in numerical metaphysics and legal worldview thoughts. The above-mentioned type of writing in the process of understanding nuclear law is of decisive importance in determining the ideological tasks of mathematical philosophy in the right direction, which facilitates the objective analysis of nuclear weapons as an instrument for protecting the world geopolitical order. Cryptomathematical writing reveals an extremely important connection with the philosophical

regularities governing world law and logical thinking, which is confirmed by the encryption of legal-worldview ideas. Cryptomathematical writing also includes the stable essential bonds of the number as the beginning of numerical metaphysics and philosophical thought as the backbone of jurisprudence, which is confirmed by the multifaceted activation of historical-philosophical and logical research. Cryptomathematical writing is a bridge between mathematics as the subject structure of nuclear weapons and law as a source of normative regulation. In addition to cryptomathematical writing, we attach great importance to the psycholegotronic dimension, which includes the conceptual qualitative links between the governing laws of legal thought and logical ideas, which is confirmed by overcoming the scientific challenge arising in connection with the multifaceted activation of historical-genetic research in a completely objective way. The psycholegotronic dimension includes a qualitative model of the interaction of international relations and legal ideas, which is the basis of world order.

Keywords: Nuclear Law, Cryptomathematical alphabet, Psycholegotronic dimension